ფასი 10,000 მან.

ლომისი

რედაქცია:
ტფილისი, ხელოვანთა სასახლე სერგიევის ქ. № 13. ტელ. 17-51.
სამი თვით 100 ათასი მანეთი. ———
——— განცხადების ფასი მორიგებით.

კვირა
იანვრის 7.
1923

№ 19. სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველ კვირეული გაზეთი № 19.

საბრუნავი თანხა **6,000,000** თქროთი. თვიური ბრუნვა
40.000.000.000

ტრესტის გამგეობა ტფილისი, შტაბის, ქუჩა № **2.** ტელეფონი **12-29** **ტრესტის გამგეობა**

თამბაქოს ტრესტი

კანტორები და განყოფილებები
ბაქო-ბათუმი,
ქუთაისი, ერივანი,
ასხაბადი, ტაშკენტი,
თეირანი, თავრიზი,
კაზვინი, (სპარსეთი).

სახელმწიფო აკადემიური თეატრი
ოპერა

ორშაბათს, იანვრის 8-ს
აიდა

სამშაბათს, იანვრის 9-ს

დილით
მოწაფეებისათვის
ევგენი ონეგინი

საღამოს
აბესალომ და
ეთერი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რუსთაველის თეატრი
ქართული აკადემიურ დრამა

ორშაბათს, იანვრის 8-ს
უგვირგვინო
მეფენი

პიესა **სანდრო შანშიაშვილისა.**

დადგმა **ახმეტელისა.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

წელსაც

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირს უკვე ხუთი წლის ყავლი აქვს.

მან გადაიტანა რევოლიუციის ქარიშხლიანი დღეები—და ყოველთვის მის არსებობას ამართლებდა ერთი დიდი მიზანი: ეს იყო ყველა შემოქმედებითი ძალების ერთად თავის მოყრა და თავდადებული მუშაობა მშობლიურ კულტურისათვის.

ამ გზაზე მას მრავალი დაბრკოლებები ელობებოდა, მაგრამ ჩვენი კავშირი ყოველთვის იმედიანად შეჰყურებდა მომავალს და იბრძოდა თავისი მიზნების განსახორციელებლად.

მაშინ, როდესაც ჩვენში ყველას ყურადღება მიქცეული იყო სულ სხვა-და-სხვა გარდამავალ მოვლენებზე და არავის სცალოდა ეზრუნა ჩვენს მწერლობასა და პოეზიაზე, ჩვენი კავშირი ყოველთვის ფხიზლად იდგა თავის სადარაჯოზე და ერთი წუთითაც კი არ ივიწყებდა თავის მოვალეობას...

ხოლო მას შემდეგ, რაც ჩვენში ეროვნულ კულტურის საკითხმა ასე განსაკუთრებული ხასიათი მიიღო, ჩვენი კავშირის მნიშვნელობა და მოვალეობა კიდევ უფრო თვალსაჩინო და მომავლის წინაშე საპასუხისმგებლო შეიქნა.

საბჭომ საჭიროთ დაინახა შესდგომოდა საგამომცემლო მუშაობას და იგი თითქმის მთელი წლის განმავლობაში ჰბეჭდავს ყოველკვირეულ თავის ორგანოს—„ლომისს“.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს, რომელსაც საკმაო ტრადიცია აქვს, გაამაგრებს ყველა ჩვენი მწერლებისა და პოეტების ერთსულოვანი მუშაობა კულტურისათვის.

ამიტომ ჩვენი მოწოდებაა: ყველა ჩვენი კავშირის წევრები—როგორც უხუცესები ისე ახალგაზრდები—უნდა შემოკრბნენ „ლომისის“ გარშემო, მიიღონ მასში ყოველგვარი მონაწილეობა, რომ კიდევ უფრო გაცხოველდეს და გამტკიცდეს ჩვენი მუშაობა.

მწერალთა კავშირის განყოფილებები არსებობს საქართველოს ყველა თვალსაჩინო ქალაქებში. საჭიროა, რომ მათ უფრო მეტი ახლო დამოკიდებულება იქონიონ კავშირის მთავარ ორგანოსთან.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ „ლომისი“ არ არის ერთი და ორი პირის გაზეთი, არამედ ის არის სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის მთავარი ორგანო და იგი ღირსეულადაც უნდა იდგეს თავის სიმაღლეზე.

„ლომისი“ უნდა იყოს ის ბაზა, რომელშიაც თავი უნდა მოიყაროს ყველა ქართველმა მწერალმა; იგი უნდა იყოს ერის ღირსეული სინიდისი და ყავარჯენი კულტურულ შემოქმედებითი მუშაობისა.

ის თანაგრძნობა და პრესტიჟი, რომელიც დაიმსახურა ჩვენმა კავშირმა ქართველ საზოგადოებაში, გვაძლევს იმედს—იმავე ენერგიით და სიყვარულით განვაგრძოთ ჩვენი გაზეთის გამოცემა ამ მიმდინარე წელსაც, როგორც შარშან.

სამწუხარო მოვლენა

ჩვენ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს ის, რასაც „საზოგადოებრივი გულგრილობა“ ეწოდება და რაც მჭიდროდ არის გადაბმული იმავ საზოგადო პირობებთან. მხოლოდ აქედან არ უნდა გამოვიყვანოთ აჩქარებული დასკვნა საზოგადოებრივი შეგნების უილაჯობის და ბუნებრივი უკულტურობის შესახებ.

ეს კიდევ არაფერია, რომ თვით კულტურულ წინამძღოლთა შორის სწორად და სავსებით იყოს შეგნებული ეს მეტის-მეტად არა სახარბიელო საზოგადოებრივი მდგომარეობა, რომ ჩვენს მოღვაწეებს ზედმიწევნით ესმოდეთ მავნებლობა იმ დაუდევრობისა, რომელიც ასე საშინლად ადუნებს ჩვენს შინაურს ურთიერთულ დამოკიდებულებას.

მით უკეთესია, თუ ვცდები, მაგრამ უნდა განვაცხადო გულახდილად, რომ დიდი კულტურის თანამედროვე მემკვიდრეებს რაღაც განთვითება, დაქსაქსვა და ურთიერთმანეთისაგან გათიშვა ეტყობათ. თუ დააკვირდებით, შეამჩნევთ, რომ რაღაც ფსიქოლოგიური კარჩაკეტილობა და სექტანტური განკერძოება შეუქმნიათ. რაღაც ფრაქციული სულისკვეთება და თავაშვებული შენჩემობა შეუტანიათ კულტურულ საქმიანობაში და ამ გვარად განცალკევებულ სამრევლოებად დაყოფილთ მოუნდომე-

ბიათ ქვეყნის და კულტურის სამსახური.

ეს მდგომარეობა უმთავრესად დამახასიათებელია ჩვენი ეხლანდელი ლიტერატურული ურთიერთობისათვის. მწერლობა ანარეკლია ეპოქის. იგი გამომხატველია თავის დროის.

მწერლობას, რა დარგისაც უნდა იყოს, ეკარგვის მადლი და სახელი, თუ ვერ შეიგრძნო საუკუნის გულისნადები, თუ ვერ შეიტყო თავის ხანის ხასიათის განსაკუთრებულობა და დიდ ზრახვათა საიდუმლოება. ამ მხრით ჩვენი მწერლობის მდგომარეობა ტრაგიკულია.

სრულიათ არაბუნებრივია და გაუგებარი ის გაკადნიერებული ლიტერატურული ფრაქციონერობა, რომელიც ბუქნას თამაშობს ყოველ ფეხის გადადგმაზე. დიდი განვითარების ნაყოფია თუ დიდი ჩამორჩენის ეს ამბავი? კულტურაა თუ უკულტურობა? საცინარია თუ სატირალი?

არავინ არ იფიქროს, რომ ამით ჩვენ ვეწინააღმდეგებოდეთ ლიტერატურულ გამოცემათა გამრავლებას, და არ გვახარებდეს სხვა და სხვა ლიტერატურულ მიმდინარეობათა ახალ-ახალი ძიებანი! ან ქედს არ ვიხრიდეთ ნიჭიერად და გულწრფელად ნათქვამ ახალი სიტყვის და ახალი მიღწევების წინაშე. პირიქით, ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ გაასდეს ბეჭვდითი ორგანოების რცხვი, გაძლიერდეს ლიტერატურული ძიება და გამრავლდეს ახალი სიტყვა. ამით დავამტკიცებთ ნაციონალურ წინსვლას და კულტუროსნობას. ერის ცხოვრებისა და მისი კულტურისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ და კულტურულ ძიებათა სხვადასხვაობას, გზების სიმრავლეს და მაცოცხლებელ ჭიდილს. ეს მრავალმხრივობა და სიმდიდრეა კულტურის. ამაზე არ ვდაობთ.

ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ ამ სხვა და სხვაობაში ერთიანობა არ იკარგებოდეს, ნაწილმა არ ჩაყლაპოს მთელი, თავაშვებულმა „მე ვარ და ჩემი ნაბადის“ ფილოსოფიამ არ დააზიანოს კულტურის ძირითადი ინტერესები.

თვით კულტურული გეზი, კულტურული ორიენტაცია უნდა იყოს უპირველეს ყოვლისა ნაციონალური, მთლიანი და განუყოფელი. ეს გარემოება უნდა გვესმოდეს შინაგანად, ორგანიულად, სულის ერთიანობის აზრით და არა გარეგნულად, ხელოვნურად, სხვა და სხვა შეხედულებათა დათრგუნვით ან სხვა და სხვა მიმართულებათა გაბიაბრუებით.

სამწუხაროა, რა თქმა უნდა, არა ის, რომ ორგანოები გაგვიმრავლდენ, სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ უმეტეს შემთხვევაში ყოველი მათგანი ლიტერატურის ისტორიას თავის თავის დაბადების დღიდან იწყებს.

მარტო მას რომ ადევნოთ თვალი და სხვა არა წაიკითხოთ რა, საერთოდ ლიტერატურის მოძრაობისას ველარაფერს გაიგებთ, არ გეცოდინებათ საქართველოს ჰყავს ან ყავდა კიდევ ვინმე სხვა მწერალი, სხვა პოეტი თუ არა: ცდილობს გამოამწყვდიოს მკითხველი თავის პაწია ლიტერატურულ ოთახში და ბრწყინვალე დღის სინათლე დაანახვოს მხოლოდ პაწაწკინტელა ფანჯრიდან.

ასეთ ლიტერატურაზე ყველაფერი შეგიძლიათ ბრძანოთ, მხოლოდ ის ვერავითარ შემთხვევაში ვერ აამაღლებს, ვერ გასწმენდს და ვერ გაამდიდრებს ჩვენს ლიტერატურას. მაშასადამე გაცნობიერებულ ერის გულსაც ვერ მოიგებს, რაც უნდა მაგარ-მაგარი სიტყვები ხარჯოს ამისათვის.

ამას ხაპოლემიკოდ არ მოგახსენებთ. არც არავის წყენა გაგვიტარებია გულში. ეს ყველას გვეხება. ვლაპარაკობთ მას, რასაც ვგრძნობთ. პოეტების დარაზმვას, დაყოფას სექტანტური მსოფლმხედველობის ნიშნის მიხედვით ვერავითარი ლიტერატურული და ესტეთიური მოსაზრება ვერ გაამართლებს. იყო დრო, როცა თვალხუჭია, შინიდან გამოუსვლელი კრიტიკა გრიშაშვილს ფედერალისტურ პოეტად თვლიდა, აბაშელს სოციალ-დემოკრატიულად, ხოლო შანშიაშვილს ეროვნულ-დემოკრატიულად. მადლობა ღმერთს, რომ ამ დროს აღარ დავუბრუნდებით.

მაგრამ ცუდი სენი მაინც ბუდობს ჩვენს ლიტერატურულ სამეფოში: საკმაოა პატარა ნიჭის პოეტი შიემხროს ამა თუ იმ ლიტერატურულ ჯგუფს, რომ იგი თითქმის გენიოსად იქნეს აღიარებული ამ ჯგუფის მიერ. ხოლო ლიტერატურული განკერძოება იმდენად ძლიერია, მას რომ მართლა ჩამოშორდეს მაღალნიჭიერი მწერალი, მის თვალში იგი მწერალი უნიჭოც გახდება და უპრინციპოც.

დროა ამ უკიდურეს ცალმხრივობას ბოლო მოეღოს. იგი მავნებელია როგორც ეროვნულ-კულტურული— ისე ლიტერატურული თვალსაზრისით. ეს მოვლენა მოგვაგონებს იმ „უვარგისს და ფხვნილ ქვას, რომელიც მაგარ ქვასთან ერთად ჩაყოლებული აქვს საძირკველში ჩვენს ცხოვრებას“ (ი. ჭავჭავაძე). ვუფრთხილდეთ. ვერიდოთ!

ჩვენ მხოლოდ ერთს დიდს არასასურველ გარემოებას მიუთითებთ და სრულებით არ გვქონია აზრად გაგვეთვალისწინებია თანამედროვე მწერლობის დადებითი მხარეები, არ შევხებივართ იმედის აღმძვრელ მოვლენებს.

ჩვენ მოვითხოვთ ლიტერატურული ზნეობის ამაღლებას და დაწვრილმანებულ პატივმოყვარეობის განდევნას სამწერლო ასპარეზიდან. ვინც საცეცხლურს იღებს ლიტერატურის ტაძარში საწირავად, პირველყოვლისა გარემოცული უნდა იყოს მწერლობის მთლიანი ინტერესების დაცვის აზრით და მშობლიური კულტურის ძლიერი სიყვარულით.

ნ. ხ—ლი.

გრიგოლ ვოლსკი

აღარ მახსოვს 1895 თუ 1896 წელს, ახალწლის წინა დღით ტფილისიდან ბათომს მივემგზავრებოდი. მთები ტფილისის ირგვლივ დათოვლილი იყო და როდესაც სადგურზე მივეშურებოდი შევამჩნიე მტკვარის ნაპირების გაყინვა. ერთის სიტყვით ცივი ზამთრის დღე იდგა, მაგრამ დილით, როდესაც მატარებელი ბათომს უახლოვდებოდა, და მე ფანჯარიდან გამოვიხედე, თბილმა ჰაერმა შემომკრა. მზე ოქროსფრად აფრქვევდა სხივებს და ირგვლივ ყვაოდა მცენარეები. ტფილისის ზამთარი შესცვალა ბათომის გაზაფხულმა.

პირველი ნაცნობი, რომელსაც ბათომის ქუჩაზე შევხვდი, იყო გრიგოლ ვოლსკი. მასაც ამხიარულებდა გაზაფხულის თბილი ამინდი, მაგრამ მაინც ნაღვლობდა, რომ არ შეეძლო ტფილისში ეცხოვრა. იმ დროს იგი ექიმის თანამდებობას ასრულებდა როტშილდის ქარხანაში. პოეტი ვოლსკი და ქარხნის ექიმი! დიახ! მრავალ წელს ასრულებდა იგი ამ თანამდებობას, სთელავდა ბათომის ქვაფენილებს, ყოველ დღე დადიოდა რამოდენიმე ხნით ბაღში სასეირნოდ და ოცნებით გაყურებდა ზღვას. იგი ექიმი იყო, თუმცა არავითარ მოწოდებას არ გრძნობდა ექიმობისას და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწუხდა, რომ შეცდომა მოუვიდა პროფესიის არჩევაში.

კერძო „პრაქტიკა“ მას არც ქონდა და არც შეეძლო ჰქონებოდა, ვინაიდან მედიცინით სრულებით არ იყო დაინტერესებული. ბედათ მან იშოვა ადგილ ქარხნის ექიმისა, თორემ სრულებით არავითარი შემოსავალი არ ექნებოდა, მაგრამ როგორც ქარხნის ექიმი, იგი მეტად ღარიბულად სცხოვრობდა, ჯამაგირს მცირეს ღებულობდა.

წრე, რომელშიაც იგი ტრიალებდა ბათომში, მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებდა მის სულიერ მოთხოვნილებას, საერთოდ კი იგი მოწყენილობას გრძნობდა, და უდაბნოში მიაჩნდა თავისი თავი. როგორც მშიერი პურზე ოცნებობს, ისე ოცნებობდა ვოლსკი ბათომში ტფილისის ქართულ ლიტერატურულ მოძრაობაზე, მაგრამ მიუხედავად სურვილისა, რომ ეცხოვრა უფრო მოაზროვნე საზოგადოებაში, იგი თან და თან კარგავდა ნებისყოფას და ასე ვსთქვათ თან და თან ჩამორჩა გონებრივ მუშაობას.

მე მას ხშირად ვხედავდი ბათომში და მტკივნეულად შევნიშნე თუ როგორ ჩაეფლა იგი ცხოვრების ამაოებაში, რისი გადატანაც შეეძლო მხოლოდ ისეთ პირს, რომელიც ეწაფებოდა კარგ წიგნებს და ხშირად შეეძლო ბათომიდან გასვლა.

ასე გაატარა ვოლსკიმ მრავალი წელი ამ სამრეწველო ქალაქში და ძალიან ცოტას აკეთებდა ქართულ ლიტერატურისათვის, და როდესაც გადმოსახლდა ტფილისში, იგი ზნეობრივივითაც და გონებრივითაც უკვე გატეხილი იყო, დაკარგული ქონდა სიმხიარულე და იუმორული განწყობილება, რომელსაც ფლობდა სიყმაწვილის წლებში.

ის უსათუოდ იყო ნიჭიერი პოეტი ძლიერი გაქანებისა, მაგრამ ცხოვრებამ ადრე მოამსხვრია ფრთები.

და ეს მოხდა იმიტომ რომ იგი მოექცა ისეთ გზაზე, რომელმაც ჩაითრია ცხოვრების უდაბნოში.

არტურ ლეისტი.

მოგონება ჭოლაზე

„თვალ წინა მიდგას იმ კირთების
ბედ-შავნი დღენი“

ილ. ჭავჭავაძე.

დღეს მაგონდება ახლო წარსული... გავლილი სევდიანი დღეები... დღეს მაგონდება ტანჯული ადამიანი... ის ვინც იტანჯა ამ სოფლის გზაზე და ტანჯვაში დაღნა... ვის არ ახსოვს ჭოლა...

ის, დიდი ხანია მდუმარების მისცემია სამშობლოს დედა ქალაქ ტფილისის მიწის გულში... მას სძინავს, მუდმივი ძილით სძინავს სამარეში... ვის არ ახსოვს ჭოლა!..

დღეს ყველას წინაშე ცოცხლათ ტრიალებს მისი წამებული სახე... მისი აჩრდილი... ის იყო მოძრაობა, ბრძოლა, შეუჩერებელი დუღილი საქმიანობისა... ის იყო ხალხის მესაიდუმლე, მებრძოლი, ცეცხლი, მოხეტიალე მგზავრი სოფლისა... მან დაჰკრიფა ტანჯვა-წამება ამა სოფელში...

მას იგონებენ დღეს... მის საფლავს იგონებენ შვიდი წლის შემდეგ... მისი საფლავი—საიდუმლო საფლავია... იქ მარხია ტანჯვა-წამების საიდუმლო თაიგული...

დღევანდელი დრო და ტანჯული ჭოლა!.. მწუხარება და წამება!.. ბრძოლა და წინსვლა!. ასეთი დიადი შინაარსია ჩამარხული ამ ძვირფას საიდუმლო საფლავის მოგონებაში... ერი თვის ტანჯულ შვილს იგონებს დღეს... და აქ ამ საიდუმლო ისტორიის ახალ ფურცელზე იწერება „ტანჯული სიტყვა წამებულა ადამიანისა“: აბა ვინ არ დევნილა და ვინ არ წამებულა!..

წარსულში. 1904 წელი ყველაზე უკეთესი ხანაა გურიის ისტორიაში... გვიყვარდა მაშინ ახალი გაზაფხული, ჩვენ, ახალგაზრდებს... ცელქ ბავშვებს... ამ წელს მართლა მშვენიერი გაზაფხული იყო... მზიანი დღეები, მთვარიანი ღამეები... სამხრეთ გურიის ნაზი ბუნების სანახაობანი ამწვანებული იყო... მშვენიერი გაზაფხული და გურიის განმათავისუფლებელი მოძრაობა ახასიათებს ამ ძვირფას მოგონებას... გურიის სოფლები და ტყეები სახალხო კრებებით მშვენდებოდათ.. ხალხი ახალ გამოღვიძებული მოძრაობის ახალ ფერხულში შედიოდა, და განთიადის ახალი სხივები ეფინებოდა გურიის მიდამოებს... ჭოლას იცნობდა მაშინ გურია... ჭოლა უყვარდა მაშინ ხალხს... ჭოლა უყვარდა მაშინ ახალგაზრდებს, ცელქ ბავშვებს... ჭოლა ტრიალებდა მაშინ გურიაში... ჭოლა იყო მაშინ ახალი სიტყვა... ჭოლას უყვარდა ყოფნა მდინარე ჟუჟის პირად... ცაცხვთან... ჩრდილში... რევოლიუციონურ ოჯახის დედა ბაბინესთან... აქ მას ჩვენ ყურს ვუგდებდით, ჩვენ გვეძახოდა, ის ცელქ ბავშვებს... მას უყვარდა ჩვენი დაშინება, სწავლება, მოფერება, ალერსი... ამიტომ არის ის აღბეჭდილი ჩვენში—როგორც მასწავლებელი...

ჭოლამ გვასწავლა პირველ შეხვედრისთანავე, როგორ უნდა ბრძოლა და ტანჯვა, შიმშილი და გაჭირვება... ის იყო გულახდილი, შეუპოვარი, პირდაპირი, დაუნდობელი, შეუბრალებელი, სიმართლის მოციქული, ამაყი, გულჩვილი, ნაზი, სპეტაკი... ამიტომ ეშინოდა ყველას მისი... ამიტომ იგი იყო ხალხის გულში...

ამიტომ გვახსოვს ჩვენ ის, როგორც არა ჩვეულებრივი პიროვნება..

1904 წელი, გაზაფხული, გურიის ტანჯულ ხალხის მოძრაობა. ბევრი ცაცხვი და იქ საყვარელი ჭოლა, ეს მშვენიერი მოგონებაა... ეს დიდი კეთილშობლიური ისტორიაა... ისტორიაა წამებული...

გამოთხოვება. 1907 წელი. იანვრის ღამე იყო... თოვდა... აღარ მოსჩანდა აჭარის მთები და არც სოფელ ექადიის მაღლობები... ჩვენ კი ველოდდით ევწუწუნავას ბინაზე ჭოლას... მას წილათ ხვდა დევნა, ტყეებში ხეტიალი... ის ტყიდან ამ დღეებში გამოვა მზის სინათლეზე, გამოეთხოვება ხალხს და გაემგზავრება შორეულ ჩრდილოეთში ხალხის წარმომადგენლათ, ხალხის დასაცველათ... ჭოლა ღამის ათ საათზე მოვიდა... ძალზე გამოცვლილიყო... ტანზე გრძელი ძველებური ჩოხა ეცვა, თავზე ყაბალახი... ცეცხლი სჩანდა მის სახეზე... თუმცა ძალიან დასუსტებული იყო... ეს ღამე იყო გამოსათხოვარი ღამე... გვეთხოვება ოზურგეთის ახალგაზრდებს... მთელი ღამე მან საუბარში გაატარა... ყურს ვუგდებდით და ვისმენდით... ის მთელ ღამეს სხვა და სხვანაირი იყო. ხან ტყის ყაჩაღი, ხან პოეტი, ხან მხატვარი, ხან სარდალი, ხან ორატორი, ხან საშინელი მძულვარება... მან მთელი ღამე აღელვებით გაატარა... და გამოსათხოვარი დამაფიქრებელი საუბარი დაამთავრა შემდეგი სიტყვებით: „მოვალთ თუ გავიმარჯვებთ, ვერ მოვალთ თუ დავმარცხდით“... ეს იყო უკანასკნელი ღამე... ეს იყო უკანასკნელი გამოთხოვება... ამ გამოთხოვებას დაესწრნენ „მისი მეგობრები და „მისი მოწაფეები... ეს იყო ბნელ ღამეს... ეს იყო გურიის ტანჯვა-წამების საშინელ ხანაში...

მას შემდეგ მე ჭოლა აღარ მინახავს...

1910 წელი. ნოემბრის ბოლო რიცხვებში მივიღე მისი უკანასკნელი წერილი ქ. ახალციხიდან... ის მწერდა: „ძვირფასო ჰერკულეს! სალამი და გამარჯობა. მივიღე შენი უკანასკნელი წერილი... გუშინ გადმიცა ვასო აბაშიძემ... პატარა ვასომ... მაჯავრებს ეგ შენი პატარა ვასო... სულ თავს დამტრიალებს... მემსახურება... და მე კი ვეჩხუბები... ის მხიარულად მოდის ჩემთან და მე კი მას ჯოჯოხეთური სახით ვხვდები... ასე მაქვს დაშლილი ორგანიზმი, ნერვები... შენმა წერილმა გონს მომიყვანა... კარგია, რომ არ მივიწყებენ გურიის ამხანაგები... კარგია, რომ ყოჩაღათ არიან... მე კი აქ ბრძოლაში ვარ...

ზორცი

ნაჭერი პირველი

გიორგა მეყასბეს მუდამ საუკეთესო ხორცი ჰქონდა გასასყიდი.

გაკრიალებულ ჩანგლებზე, სათანადო დამლა-დაკრული და ყოველი მწიკვლისაგან გიორგას მზრუნველი ხელით გასუფთავებული, სხვა და სხვა საკლავი ეკიდა:

ძროხის სისხლიანი, ყვითელი, მკვრივი გაზავთებული ნაჭრები, თოვლივით თეთრი სიმსუქნით გარ-შემოქსოვილი, კოხტათ დასერილი ბატკნები, გაფატრული, მკერდ-გაღრენილი, დოვლათიანი ღორი, ბავშივით სირცხვილისაგან გაწითლებული, გატყავებული ხბო, თეთრ და ნაზ ბანდულში გახვეული ჯიგარი, საგანგებო მუშტრებისათვის დუთმა ნესვივით ჩამოკიდებული და ზოგჯერ ნანადირევიც. უფრო კი საცოდავათ თავ-დაღმა ჩამოტანჯული კურდღლები და ხოხბები.

პატარა იყო მისი დუქანი, მაგრამა მას არ უჩიოდა, რადგან მთელი უბანი მას ეხვეოდა და, ღვთის შეწევნით, ტკბილ ლუკმასა სჭამდა. სამაგიეროთ უბანიც მადლიერი იყო მისი:

დუქნის კუთხეში მილით წყალი ჰქონდა გამოყვანილი და მის ხელში, რაც საჭირო იყო, ყოველივე ირეცხებოდა, სუფთავდებოდა და იწმინდებოდა.

იატაკზე ერთი სისხლის ლაქა არა სჩანდა. დახლზე გაქონილს ვერას ნახავდი და ჭერში—ერთ აბლაბუდას.

მბზინვარე და მახვილად ალესილი, მუდამ სუფთა საჭრელი დანები აუცილებლად, ყოველ ცისმარე დღეს ახლად გადაფხეკილი და მოწმენდილი საჩეხი კუნძი. გაქათქათებული, ახლადვე დაუთოვებული, თეთრი ფესტემალი, კოხტა და სუფთა, შავი, სატინის მოკლე ახალუხი, ვერცხლის ქამარი, შავი, „კიზიროკიანი“, გაუჭუჭყიანებელი ქუდი და დღე-მუდამ გაპარსული პირი.

ყოველივე ეს დიდ სისუფთავის სახელს უხვეჭდა, მაგრამ უბნის მადლობისათვის ყველას სჯობნიდა ის მიზეზი, რომ გიორგა-ყასაბს მუდამ გემრიელი ხორაგი ჰქონდა.

ისიც ყველასთან პირნათლად იყო, ყოველ მყიდველს ხალისიანათ და მადიანათ ჩამოუწკეპავდა საჭირო ნაჭრებს და მოღიმარე, სახე-გაშლილი აწოდებდა ხოლმე. არავის გულს არ აკლებდა, წონაში არ ატყუებდა და ძალის ძალათ არ აჩეჩებდა ერთის მაგიერ მეორე ნაწილს ხორაგისას. ის არ ბუზღუნებდა. იცოდა, რომ გახროგილი ძვლებიც გაუყიდავი არ დარჩებოდა. მას ჰყავდა თავისი მრევლი და ზეპირად იცოდა ვის რა ნაჭერი უყვარდა, რომელი ხორაგი, რა ნაჭერი.

მხოლოდ უფრო ნაზათ ერთს ექცეოდა.

მასაც ჰყავდა თვისი რჩეული და...

იმისათვის კი, ყოველთვის, საუკეთესო, რაცა ჰქონდა, ცალკე საყინულე უჯრაში ჰქონდა შენახული ზამთარ-ზაფხულ.

ეს იყო მახლობელ, ოთხსართულიან სახლის მეეზოვე, სომხის ქალი, ჰაეროვანი ჰაიკანუშ.

უცხო რამ იყო გიორგასთვის ჰაიკანუშ:

სუფთა და ნაზი სახის პატრონი, ცოტა თხელი, ტანადი, შავ-თვალ-წარბა, ცოტა ფერ-მიხდილი, გიორგასთვის ზღაპრულ მზეთ-უნახავი იყო.

ჰაიკანუში რომ ლაილაპარაკებდა, მისი ხმის ბგერა გიორგისათვის თავ-დამვიწყებელი რამ ჰანგი იყო, რომელსაც ვერც ერთი კიკლიას მიერ დუდუკზე აკვნესებული მელოდია ვერ შეედრებოდა.

მაგრამ ეს რა იყო, რომ მთელი მისი იერი, ჰაიკანუშის მთელი ნაზი აღნაგობა ასე იზიდავდა მისკენ?

— ავ-ხორცი კაცი ვარო—გულში გაივლებდა ხოლმე—თორემ რა მომწონს მაგისი? ფირფიტივით ქალია და ჩხირივით მკლავები აქვს... მე ხომ ცოტა ჩასუქებული, მკვრივ ტანის, ბაძაყებიანი ქალები მიყვარდა, მკერდი რომ ზევით საფუარივით ავარდნია...

მაგრამ გრძნობა უარობდა ჰაიკანუშისადმი ეგრეთ სასტიკ განაჩენს და აი..

გაცნობის შემდეგ, ყოველ-დღე, განსაზღვრულ დროს გიორგა გულის ტოკვით მოელის ჰაიკანუშს და როდესაც ჰაიკანუში ფეხს დაადგამს მისი დუქნის ზღურბლზე, გიორგას თავისი ემართება.

აი პარასკევსაც...

ცოტა გვიან მოდის ჰაიკანუში. 8 საათი არ არის ჯერ.

ფეხი შემოსდგა. სადათ, მაგრამ სუფთად აცვია, თავზე შალი აქვს გადაფარებული. ხელში ქალაქური, სახელურიანი კალათა უჭირავს.

გიორგას სახე უბრწყინდება, მაგრამ თითქო ენა ებმის და უაზროთ იღრიჭება.

ასე მოსდის ყოველ პირველ დანახვაზე. აუღელვებელი ვერ შეხვედრია.

— ვახლავარ... ჰაიკანუშ...—ძლივს ლუღლუღებს გიორგა.

— გამარჯვება, გიორგა.—წკრიალებს ჰაიკანუში.—აბა, მოიტა ჩემი წილი. შენახული გაქვს?

კარგად იცის ჰაიკანუშამ, რომ გიორგას მისთვის უთუოდ დროისით დამზადებული აქვს საჭირო ხორაგი, მაგრამ ეს მისი ყოველდღიური, საგიორგო, აკვიატებული ფრაზაა და ისიც ანგარიშმიუცემლად ეუბნება ხოლმე.

გიორგა გამოდის დახლიდან, საცა მეორე მუშტარს ხორცს უწონიდა, ჩაუვლის გვერდით დახლის ძგიდეზე მომდგარ ჰაიკანუშას და ძლივ-გასაგონად ეუბნება, ეხლა უფრო თამამად:

— შენახული როგორ არ მექნება. მ და შენ არ შეგინახო?.. გენაცვა...

თან მიდის საყინულესკენ.

ჰაიკანუშას ფერ-მიხდილ სახეზე ატმის ფერი წამს გაიშლება, მაგრამ მყისვე უჩინარდება და წამწამები ძირს იხრებიან. თან თვალებს ქვემოდან მუშტრებს დაეჭვებით შეავლებს—ხომ არა გაუგონიათ რაო.

მაგრამ განა ისეთი რა უთხრა გიორგამ.

არაფერი.

ჰაიკანუშას გული კი გრძნობს ამ ათრთოლებულ, უბრალო სიტყვებში ვნებამორეული ვაჟი რომ ცახცახებს...

გიორგამ დახლის კუთხეში გადააწყო არჩეული ნაჭრები. არა ჩქარობს აწონას და სხვა მუშტარს უბრუნდება: თან ცალი თვალი ჰაიკანუშასკენ უჭირავს

ჰაიკანუშამაც იცის გიორგას ჩვეულება, რომ ესე ადრე არ გაუშვებს და დრომდე მოთმენით იცდის.

გიორგამ გაისტუმრა რამოდენიმე მყიდველი.

ჰაიკანუშა მოაგონებს.

— გიორგა, მეჩქარება.

— ამ წუთას, ამ წუთას, გენაცვა...

მშვიდათ ეუბნება გიორგა და თან სახე—განათებული, შეუჩფინვით შესცქერის.

სიჩუმეა ცოტა ხანს.

გიორგა ნელის ამოოხვრით მიუბრუნდება ჰაიკანუშას საწილადოს, თან სწონის და თან ეკითხება:

— სხვა, რა ამბავია თქვენსა?

რაში ეკითხება?!—წკრიალი უნდა გაიგონოს.

— ოჰ, ჩვენსა ცუდი ამბებია, გიორგა...

გიორგა შეჩერდება.

— რა ცუდი ამბები?

— დიდი საცოდაობა დატრიალდა: ჩვენს ეზოში ახალგაზრდა, კურისტკა ქალი გარდაიცვალა.

გიორგა გაცბუნდება. საქმობას შეაჩერებს. არ იცის რა თქვას.

ჰაიკანუშა კი განაგრძობს:

— საწყალი... მშვენიერი ქალი იყო. ლამაზი., მოხდენილი, ნასწავლი. ფილტვის ანთებით რაღაც ერთ კვირაში გაქრა ქალი. მაგრამ ეს რა არის... ეხლა ამის გამო თავს იკლავს ერთი ახალგაზდა სტუდენტი. მშვენიერი ყმაწვილია, ისიც ჩვენს ეზოში ცხოვრობს...

გიორგა დაინტერესდება:

— უყვარდათ ერთმანეთი?..

— მერე როგორ... უერთმანეთოდ ვერა სძლებდენ... საწყალი ბიჭი აღარც სვამს, აღარც ჭამს... აი დღესაც არა დაუბარებია რა ჩემთვის... ზოგ სხვა მდგმურებთან ერთად სადილს იმასაც ვაძლევ... ეს ორი დღეა მაინც ვუკეთებ, მაგრამ პირი არ დაუკარებია... დღესაც წავუღებ მის წილს... გარდაცვალებულის ამხანაგ ქალმა დამაბარა, უთუოდ მაგისთვისაც მოიტა, დავაძალებთო... ოჰ, ძალიან მეცოდება მიცვალებულიც და ის ყმაწვილიც. საწყლები როგორ გაუბედურდნენ...

— მიცვალებული დამარხეთ კიდეც?

— არა. ხვალ უნდა დაასაფლაონ... საცოდავები...

ჰაიკანუშს გაიტაცებს თავისი ამბავი და ეტყობა რიღასიც თქმა უნდა. კიდევ ცოტა ხანს დარჩება გიორგას დუქანში.

გიორგასაც ეს უნდა. ესმის ჰაიკანუშის ეხლა კიდევ უფრო მომხიბლველი, ნაღვლიანი ხმა და უყურებს მის გადამტკიცულს, თუმცა ეხლა შემწუხრებულს, შუბლს, თვალებს და... ბედნიერი არის, მაგრამ

შემოდის ვიღაც მუშტარი და მათი საუბარი წყდება შუაზე.

—

პანაშვიდი ახალი დასრულებული იყო. მიცვალებულის პატივის-მცემელნი ნელნელა გამოდიოდნენ ეკლესიიდგან.

მწუხრი ტაძრის კედლებს აქუფრიანებდა. მხოლოდ ერთგან, ჩამავალი მზის სხივი, ახსლეტილ გუმბათის ვიწრო სარკმლიდან თეთრ, ყვავილებით შემკულ კუბოზე მიისრულიყო და შარავანდედათ შესდგომოდა ახალგაზრდა მიცვალებულ ქალის მწყაზარ სახეს.

კუბოს ფეხთით მიდგმულ თეთრ კანდელზე რამოდენიმე წმინდა სანთელი ჯერ კიდევ პარპალებდა.

საკმევლის სურნელებაც ჯერ კიდევ არ იყო ჰაერში გამდნარი.

ტაძრის მარჯვენა მთავარ სვეტთან, ხან-გამოშვებით მოისმოდა თავ-შეუკავებელი, ყრუ ქვითინი.

შავებში შემოსილი მიცვალებულის ამხანაგი ქალი იყო. სპეტაკ ცხვირ-სახოც მიფარებულს ეტყობოდა თავის შეკავება, მაგრამ უძნელდებოდა-კი. მისი ცრემლით სავსე თვალები, ხან-დახმით, კუბოსთან მიჩოქილ ნაკვთს შიშით შესცქეროდა.

ნაკვთი ახალგაზრდა სტუდენტის ელიბოსი იყო.

ელიბოს თავს ადგა მისი ამხანაგი ბრგე შესახედაობის ვაჟკაცი.

იგი თითქო გარინდული იყო, მაგრამ მთელი მისი ნაკვთი ამბობდა, რომ მზათ იყო ელიბოს საშველად.

მღვდელი საკურთხეველში სამოსელს იხდიდა.

დიაკონი საწიგნეში წიგნებს ალაგებდა. ელიბო კი, კუბოსთან მიჩოქილი, ჰგავდა, არ იყო ამ ქვეყნად.

ცრემლი არ სდიოდა.

გამშრალი და გამეხებული მილურსმულიყო მიცვალებულის სახეს.

— რა მოხდა, რა?—ფეთქავდა სადღაც შორეულ შეგნებაში აკვიატებული, შეურიგებელი საცნაურობა.—მოკვდა... აღარ არის?.. სხეული უმოძრაოა? . ეს თვალები აღარასოდეს გაიხილებიან, ეს ბაგენი აღარასოდეს აბგერდებიან სანეტარო ხმათ, ელიბოს რომ ასე უყვარდა?.. ცივი, გაყინული მარგო... ჰმ... ჩემი მარგრიტა!..

სახეს არ გაუღიმია. მხოლოდ კვნესა იყო სულისა.

— ყბები როგორ ჩავარდნია... ცხვირი როგორი გამჭვირვალე გამხდარა... განა ეს მარგრიტაა?!. მარგო! მარგოო!..

ბლაოდა შეგრძნობაში ელიბო. ბაგე არც დაძრულა.

— ეს ხელები?.. გულდაკრეფილნი, ჩაყვითლებულნი, გაშეშებულნი... მთელი ეს მისი საყვარელი სხეული.. რა მოხდა, რა?—რა საოცარი ამბავია.—მარგო ცოცხალი აღარ არის, მარგო, მარგო

სიცხიან ბრძოლაში... ვეომები ქაჯებს, ლანდებს... არ ვისვენებ... ან კი რა მომასვენებს?.. სულ თრევაში ვარ... სიკვდილი კისერზე ჩამომეკიდა... ვერც მე მოვერიე და ვერც ის მომერია... ვერც მოვშორდი და ვერც მოვიშორე... არ ვიცი, რა უნდა, რას ჩამციებია, რომ აღარ მასვენებს!.. მე აქ მარტოთ ვარ, მარტოთ... და სიკვდილი!.. შენ გაგიკვირდება ჩემი ამგვარი წერილი, მაგრამ ნუ გაგიკვირდება, სულ თრევაში ვარ... სულ თრევაში. მე და თრევა ერთად დავიბადეთ მგონია... ყველა კი მემტერება... რა დავუშავე ამ ხალხს?!, ყველა მე მემტერება!. მე მიხარია მზიანი დღე, დილა, მძულს ღამე... ღამე საშინელია ჩემთვის, ვიხვრჩები ხელით და არც ვიხვრჩები... და მომითხრობენ ყოველივე წვრიმალ ამბებს... მე მღალატობენ... იციან—შავი კედლები მდარაჯობენ... ვერ ვეტევი აქ. არ მყოფნის ადგილი... მინდა თქვენთან ვიყო... ვიბრძოლო, ვიბრძოლო და ვცემო მოღალატეებს... მაგრამ დაჯაჭვული ვარ... მიხარია, რომ თქვენ ქედი არ მოგიხრიათ, იბრძვით... არ მოტეხილხართ... ოხ, რა მინდა თქვენთან ვიყო... მინდა მაგრამ ეს საშინელი ფიქრებია. იბრძოლეთ თქვენ... არავინ არ დაინდოთ. დაკბინეთ... ცეცხლი დაანთეთ ყველგან... ვინ დაგძლევს?!. ვერავინ... გაიმარჯვებთ... მე კი მენატრება გურია... არ ვიცი ვნახავ თუ არა ჩემს საყვარელს გურიას... სიკდილის ლანდები ისე დამხვევია, რომ შავი ეჭვები მქეჯნიან... არ ვიცი სად წამათრევენ"...

ეს იყო ჰოლას წერილის ერთი ნაწილი... ეს იყო იმ დროს, როცა მე სამშობლოს გამოვეთხოვე...

სამშობლოს გამოთხოვება იყო დაფიქრებული... ზღვაც მოწყენილი... არ ვიცოდი ვინ დამხვდებოდა... მაწუხებდა ჰოლას უკანასკნელი წერილი... წერილი წინანდელ წერილებზე ძალიან გამოცვლილი...

მე მას შემდეგ აღარც მისი წერილი მინახავს...

ან. ჟ—ელი

პატარა შენიშვნა

გაზეთ „ლომისის“ მე 9 ფურცელში მეთაურ წერილში, რომელიც სოფრონ მგალობლიშვილს აქვს ნაძღვნევი, ნათქვამია: „მაშინდელს (უნდა ვიგულისხმოთ 1860 წლების ბოლო და 1870-იანი წლების დასაწყისში) ჩვენს მწერლობას ორი მიმართულობა ჰქონდა ერთი იყო კონსერვატიული „მნათობის“ ეგარშემო, მეორე პროგრესიული — დროება — კრებულის ჯგუფი.

საჭიროდ მიმაჩნია მოგახსენოთ, რომ იმ დროს ჩვენი მწერლობა სამოციან წლების აზრთა დენის გავლენის ქვეშე იმყოფებოდა. ჩემი აზრით არავითარი განსაკუთრებული მიმართულება არ არსებობდა მაშინ ქართულ მწერლობაში, გარდა პროგრესიულისა: ყველა მწერალი, თავის შეძლების და გვარად, იმას სწერდა, რაც საქართველოს გამოფხიზლებისთვის და საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის იყო საჭირო. „მნათობის“ უმთავრესი თანამშრომელნი იყვნენ: ნიკო ინაშვილი, მოსე ქიქოძე, მღვდ. დიმიტრი ჯანაშვილი, გიორგი იოსელიანი, სტეპკო გამრეკელი, ანტონ ფურცელაძე, სოსიკო ბაქრაძე, აკაკი წერეთელი, მამია გურიელი, ცახელი, გოგო ორბელიანი და სხვა... ვეჭობ ამ მწერლებს კონსერვატორობა დასწამოს ვინმემ. თუ „დროება—კრებულთან“ კამათი მოუხდებოდა ხოლმე ხანდახან „მნათობს“, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ საკამათო საკითხი უკეთესად გამორკვეულიყო. ამასთან ნუ დავივიწყებთ, რომ იმ დროს ცენზურა მძვინვარებდა ჩვენში და ეს ბევრს უშლიდა ჩვენს მწერლობას მკაფიოდ აზრის გამოთქმას; ბევრი წერილი, მეტადრე საჟურნალო, წითელი მელანის საშუალებით დაუნდობლად მახინჯდებოდა, ან სულაც ესალმებოდა ქვეყანას. ერთად ერთი ლექსი აქვსთ თითზედ დახვეული „მნათობის“ მოწინაალმდეგეთ, მაგრამ იგი შემთხვევითია და სასტიკი ცენზურის ხანაში ჟურნალისათვის ვერც კონსერვატიულობისა და ვერც პროგრესიულობის დამამტკიცებლად გამოდგება.

მაინც და მაინც თუ ზემო მოყვანილი აღმონაწერი ამ ჟამად პარტიული თვალსაზრისით არ არის ნათქვამი, ძალიან მადლობელი ვიქნებით „მნათობში“ მოთავსებული წერილებისაგან კონსერვატიული მიმართულების წერილები დამისახელოს ვინმემ. ცოდვას მონანიება უნდა.

„მნათობის“ ყოფილი რედაქტორი

ნიკ. ავალიშვილი.

ს. საგარეჯო.

ცოცხალი აღარ არის.. ჩემი, სამუდამოთ ჩემი... მერე ჩვენი ოცნებანი.—მომავალი.—მეცნიერების სამსახური.—ორივესი დიაღ, ორივესი.—გაქრა-ღა ეს ამბები.—მარგო, ხმა გამე! შენ გიყვარდა ჩემთან საუბარი.—ვისაუბროთ. მწუხრის ჟამს შენს კოხტა ოთახში ერთად რომ მივეიწყდებოდით... ხელი-ხელ ჩაჭიდებულნი, თვალი-თვალ გაყრილი... ოჰ, ეს თვალები... სადღა არიან... რათ არ შემომანათებ შენებურად... ჩვენ ხომ დანიშნულები ვართ... ნაშობევს ჯვარი უნდა დაგვეწერა.—დაგავიწყდა პირობა?.. რათა, მარგო, რათ... რასა გავს ეს... გაყინული სხეული... საუკუნო მდუმარება... მიუკარებელი, გაუზიარებელი... ეს რაღაა... როგორ ჩაგლურჯებია ტუჩები... ღმერთო, ეს ლაქა.—შენს ღაწვზე... შენს ღაწვზე ლაქა... საშინელი, შემაზრზენი... ნუ თუ შენმა ხორცმა იწყო ხრწნა... შენმა... შენმა, მარგო... არა, არა! შენ ცოცხალი ხარ, ჩემო მარგო, ჩუმო მარქრიტ!.. აი შენი გრუზა თმები... ცოცხალი არის... მბზინვარებს ჩვეულებრივ, მღელვარე ტალღებივით კვლავ შუბლისკენ მოქანაობენ... დიაღ, ეს შენი თმებია, შენ ცოცხალი ხარ... აბა შევეხო...

უეცრად ელიბოს თავი უცნაურად ჩამოუვარდა და კუბოს დაეჯახა.

მყის მივარდა ამხანაგი ვაჟკაცი და გულ-წასული ჩაჩოქილმა მკერდს მიისვენა. აქვე მოიჭრა მიცვალებულის ამხანაგი ქალი.

მღვდელმა ჩამოიარა. ნელი საყვედურით მიმართა ელიბოს ამხანაგს:

— როგორ იქნება, ყმაწვილო, მოაშორეთ მიცვალებულს, წაიყვანეთ, თორემ...

— ჩვენც ვიცით, მაგრამ ძნელია ეხლა მაგისგან მიცვალებულის ჩამოშორება... თქვენ არ იცით, უთუოდ თავს აუტეხს რამეს...

ქალი დიაკვნის მიერ მოტანილ წყალს ასხურებდა შელონებულ ელიბოს.

ძლივ მოასულიერეს ორივ მეგობრებმა და სიფრთხილით წაიყვანეს სახლში.

თან ანუგეშებდნენ: ხვალ დასაფლავებაა და კიდევ მოვალთ ყველანი, დილიდან აქ ვიქნებითო.

ელიბო თითქო დამორჩილდა ბედს.

რამოდენიმე წუთის შემდეგ აზრ-დაკარგული, გონება-გამოფიტული იჯდა მის მაგიდასთან და იდაყვ-დაყრდნობილი ერთ წერტილს შესჩერებოდა.

მთელი ღამე არ მოშორებია ამხანაგი. თვალი არ მოუხუჭავს. მას უთვალთვალებდა.

დილა-ადრიან მკვირცხლად წამოხტა ელიბო. გარინდულმა ამხანაგმა ყურები ცქვიტა.

ელიბო ქუდს იხურავს.

— საით, ელიბო?

— მმ... არსად...—ზანტათ ამოიღო ხმა.—საფლავის გათხრას მინდა დავესწრო...

ისე კი მხნეთ არის. მარჯვეთ გამოიყურება.

— ეჰ, აბა რა არის... ჭკუას კი ნუ დაჰკარგავ ეხლა...

— არა, ნუ გეშინია... ბევრი ვიფიქრე წუხელი... თავს არას აუტეხავ... გამიარა სიგიჟემ... მაგრამ მაინც მინდა ვნახო... მისი სასაფლაოც... თვით მარგოც... მკვდარი, მკვდარი...

და აქ გადმოხეთქა ნიაღვარმა...

ელიბო ამხანაგს ეხვეოდა და ხმა-მაღალი ოხვრით ცრემლად იღვრებოდა.

ამხანაგმა გახარებით ამოისუნთქა.

იგრძნო, რომ უკვე სამშვიდობოს იყვნენ გასულნი.

შალვა დადიანი.

განახლების წინ

ა.

დღეს სხვანაირი დაგვიდგა ხანა:
ცვალებადობის სცვივა რგოლები...
ძალა გონების მიწვდება განა?

ყოველი წამი—საუკუნეა:
ელვის სისწრაფით განაქროლები,
ლურჯას ტორებიც მასთან—დუნეა.

რასაც არ უდის სიახლის სუნი,
დაფარულია ხავსით და ობით,
ღირსია გმობის... და მძულს, ვით მუნი.

ბ.

დაობდა გული კაცობრიობის;
მოწყურდა სისხლი, სვამს და ვერ ძღება
და ისე ლპება, როგორც იობი.

თვით დედამიწაც გადაცდა ორბიტს
და ახლა იგი ბეწვზე ჰკიდია;
საფრთხე დიდია: სიკვდილი მორბის.

ფართოდ გაალო შიშმა თვალები
და ნაპრალის წინ ცახცახებს სული,
მთლად დაისრული ტანჯვის რვალებით.

გ.

ქვეყანა ძველი დე დაიღუპოს:
მის ნანგრევებზე სხვა აშენდება
და აგვშორდება სისხლი და კუბო.

ფერისცვალება მოვა მზიანი:
თვით სიმახინჯე გალამაზდება,
და დაფასდება ადამიანი.

ელექტრო მზესთან წაიღებს ბარათს.
ფოლადის განცდა გადასერავს სულს:
და ხატებას სრულს მივწვდებით მარადს.

გ. რუხაძე.

განწირული

როგორც დაჭრილ იხვს, ჩამომაქანებს
შენით ნასროლი ისრების გუნდი,
მაგრამ მფარველი ჩემი მახანებს:
—ბაბი, ოჰ, ბაბი, დადექ დაბრუნდი!

გავალებ თვალებს, მე წამოვდგები,
გაივლის ხილვა, გავა მაცდური...
რაღას მაწამებთ, ნენა, მოვკვდები,
რაკი რომ მთელად აღარ მაქვს გული.

ბაბილინა

შუქი შადრევნებად.

ასცურდა ნისლის ტახტრევანები.
ზეიმობს დილა ღამის დაისებით.
და თეთრი შუქის შედრევანებში
იღვრება ირგვლივ ბროლის თასებით.

მოულოდნელი ზეცის წყალობა
მე გამაოცებს ცრემლებ დაჩვეულს.
ო, როგორ მსურდა ყმაწვილ ქალობა
რომ ძლვნად მიელო ზე-კაცს, არჩეულს.

ეჰ, სასწაული ჩემთვის არ მოხდა,
ამაოდ მივსდევ ოცნების რგოლებს,
ნიცშე ზე კაცის ძებნაში მოკვდა
და მეც ეს სევდა გადამიყოლებს.

ხათო მგელაძე.

ქართული თეატრი

„მზის დაბნელება საქართველოში“.

კასასთან.

აუარებელი ხალხი. რუსთველის თეატრის დერეფანი დაკეტილია: ანშლანგი. ქუჩის შუშაბანდზე გამოკრულია განცხადება, რომ იანვრის ორისთვის ყველა ბილეთები გაყიდულია. ხალხი მაინც არ იშლება. ადმინისტრაციამ აღადგინა წესიერება და ბილეთის მქონე ხალხი საათის შვიდიდან ეშურება თეატრს.

ფოიეში.

წარმოდგენის დაწყებამდე თეატრის ფოიეში, როგორც ყოველთვის, ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილია ინტელიგენცია და თეატრის აღდგენაზე და მსახიობთა უკეთეს პერსპექტივაზე მუსაიფობს. ყველას ღიმილი დასთამაშებს ტუჩებზე.

სცენაზე.

სრულ რვა საათზე ავიდა ფარდა. ფარდის ასვლისთანავე სცენაზე სიცოცხლეა. თვალს ხიბლავს ვალერიან სიდამონ ერისთავის დეკორაციები. სცენაზე ცოცხლდება ძველი ტფილისის ერთერთი უბანი. მთელი პიესა ეკრანის სისწრაფით მიდის.

აქვეა დუქნები: სადალაქო, სადურგლო (ხარატი?) და მეჩუსტეების (უკეთესი იყო მექალამნეების).

მომქმედ პირთა ლაპარაკი სწარმოებს სახლის ბანზე.

სცენის სიღრმეში მოსჩანს ქუჩის ერთი კუთხე, სადაც გაივლის ურემი, სახედარი, კინტო თაბახით და სხვ. აქვეა ფალნიანი მუშები. ყველა თავის საქონელს ჰყიდის: ლაპარაკობს თავისებურად და ამით ძველი ტფილისი თავის ეთნოგრაფიულ ხაზებში იღვიძებს და ანცვიფრებს მაყურებელს.

პიესა თავის აღნაგობით სუსტია, მაგრამ არის შიგ ისეთი ადგილები, რომელიც თავისებურ კოლორიტს ჰქმნის. ასეთია, მაგალითად: ვაჭარი გეურქა, ნენე, თავ. ინდო, აზნ. ზაალ და გლეხი ბერუა. მათი ჩაცმულობა, გრიმი, დიალოგები ფულის სესხის შესახებ და „ევროპიული სუფრის“ აღწერა შედევრი იყო პირველ მოქმედებაში:

ეს კია რომ დეკორაციები—ალბად სცენის სივიწროვის გამო—ძალიან მჭიდროდ იყო მიდგმული, მართალია სტილი დაცული იყო, მაგრამ პარტერიდან ქუჩა სრულიად არ მოსჩანდა: შემდეგში საჭიროა კიბის დადაბლება, რომ სცენის წიაღი ოდნავ მაინც დასანახი გახდეს.

მეორე მოქმედება

მეორე მოქმედება სწარმოებს დიდუბეში და სცენა უნდა წარმოადგენდეს ავტორის თქმით: „დიდუბის მინდორსა ცასა და მზესა“. სცენაზე ასეთი გაშლილი ადგი სულ არ სჩანდა: ეს უფრო დღევანდელი „დეზერტირის ბაზარი“ იყო. მართალია, სცენაზე ყველა რანგის ხალხია, მაგრამ მაინც ამდენი ხალხის ასე შეჯგუფება ხელს უშლიდა პიესას. ღრიანცელი ვერ იყო ზომიერად დაცული. ამ მოქმედებაში ჟივილხივილის მეტი არაფერი არ ისმოდა და მშვენიერი დიალოგი ჩინოვნიკისა და მიკირტუმასი სულ არ გაუგონია ხალხს. მართალია, აქ ყოველი მომქმედი პირი შტრიხებშია გავლებული, მაგრამ ჩემის აზრით ეს სალიანგო სცენები, ეს ხალხი სცენის სიღრმეში უნდა იყოს მიმობნეული და არა შეკუმშული. მაშინ მათ ფსიხოლოგიურ განცდებს მზის დაბნელების შესახებ მსმენელი თავის ფანტაზიით გააგრძელებდა. პიესაში ბევრი რამ იყო ჩამატებული, მაგრამ ბევრიც გამოკლებული. გამოკლებული იყო მაგალითად: კინტოების ერთი უძველესი სიმღერათაგანი: „საყვარელი დამიკარგავს“ და „ჰა დანდანი დანდანი“, დღეს როცა ყველა მახინჯ ჰანგებს კინტოებს აწერენ, საჭირო იყო ამ ძველი სიმღერების მოსმენა. „ჰა დანდანი დანდანი“ ოთხი კინტოს მიერ ნამღერი მშვენიერი ხორო იქნებოდა ძველი ქალაქის კოლორიტის მოსაგონებლად.

მესამე მოქმედება

ყოველ წვრილმანში სტილია დაცული: სკამები, სურათები, სარკე. კარგი იყო დედაკაცების მოთქმა. ქორწილი კიდევ უკეთესი: მახარობელი, ჯვარი ხმლებით, დალოცვა და ძველი ადათის მზგავსად ბიჭის დაწოლა ნეფედედოფლის სკამებზე, რათა პირველად ვაჟი შეეძინოთ. ბოლოს კინტოები თარფით. ცეკვა.

მესამე მოქმედების დასასრულს ილია ზურაბიშვილი, რომელიც ერთერთ ყარაჩოღელის როლს ასრულებდა—ტანისამოსსა და გრიმში ვასო აბაშიძის წინადადებით ულოცავს საზოგადოებს, რომ ქართული თეატრი 73 წლის განმავლობაში სცოცხლობს, რომ ვერავითარმა „პარუსკობამ“ ვერ ჩაჰკლა მისი სული, დღეს ქართული თეატრი ჯვარს იწერს და იცით ვინ არის ჩვენი სასიძო: კოტე მარჯანიშვილი ხომ გაგიგონიათო: ხალხი აწყვეტინებს ორატორს და თხოულობენ კ. მარჯანიშვილს... სცენაზე ალ. სუმბათაშვილს გამოჰყავს კ. მარჯანიშვილი. ოვაციები. მარჯანიშვილი უსიტყვოდ ესალმება ყველას და განსაკუთრებით ქართული სცენის უხუცეს მსახიობს მ. საფაროვ-აბაშიძისას, რომელიც მესამე მოქმედებაში სტუმრებში გამოდის სცენაზე. ლეკურს თამაშობს აგრეთვე ძველი მსახიობი ქეთო ანდრონიკაშვილისა, რომელსაც ერთ დროს ქართულ ცეკვაში ბადალი არა ჰყავდა

მსახიობები

პიესის საზეიმოდ ჩატარებაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ:

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ვასო აბაშიძე—ეს ყოველთვის ახალგაზდა ჯეირანი ჩვენ სცენაზე.

ვასო აბაშიძის შემდეგ უეჭველად ჩვენი მადლობა ეკუთვნის ნატალია ჯავახიშვილს. ეს მსახიობი როგორც ნათარგმნ პიესებისთვის, ისე გაბუნია-ცაგარლის ტიპების აღსადგენად—დიდ ძალას წარმოადგენს ჩვენი ახალი თეატრისთვის.

უნაკლონი იყვნენ: ნიკო გოცირიძე (გეურქა), ვ. გამყრელიძე (ინდო), პ. კორიშელი (ზაალ) და ა. იმედაშვილი (ბერუა).

ალექსანდრე სუმბათაშვილი ასრულებდა რუს ჩინოვნიკის როლს, რომელსაც ხალხი ტაშით შეხვდა.

მეტად ტიპიურები იყვნენ: მ. ქორელი (მუჟიკი), ა. აბელიშვილისა (ავდოტი) ა. ჟორჟოლიანი (ფრანგი), შ. ღამბაშიძე (გერმანელი) ვ. არაბიძე დალაქის და დენშიკის და სირაჯის ამსრულებელნი აკ. ფალავას სტუდიიდან.

ალისა ქიქოძე (პანსიონში გაზრდილი ქალი) თავისი ხაბარდით მოხდენილი და კეკლუცი იყო. აკაკი ვასაძის თამაშში როგორც ყოველთვის—სხვადასხაობა სჩანდა. საუცხოო იქნებოდა მ. ლორთქიფანიძე (იმერელი) რომ ხმა არ ჰქონოდა მიმქრალი.

კინტოებში განირჩეოდა—ილია ზურაბიშვილი თავისი ბრგე შეხედულობით, გაბყივარი ხმით და ბუნებრივ მიხვრამოხვრით. მხოლოდ სამწუხაროა, რომ ეს მრავალმხრივ ნიჭიერი ადამიანი იშვიათად სჩანს ხოლმე ჩვენს კულტურულ ასპარეზზე.

უშარჟოდ და სწორე ხაზებში ცეკვავდნენ: გიგო იორდანიშვილი (მანო) და სარჩიმელიძე (გეო).

ყველა კარგი იყო, ყველა!

კ. მარჯანიშვილი

ერთმა პოეტმა კ. მარჯანიშვილს „ახალი ქრისტე“ უწოდა. აქ სრულებითაც არ არის გადაჭარბება. ასეთი პიესის ბოლომდე მოსმენას მხოლოდ მარჯანიშვილის ჯადოსნობას უნდა უმადლოდეთ. კ. მარჯანიშვილმა ამ ზერელედ დაწერილ პიესიდან მთელი ეპოქა შექმნა.

იმდენი ითქვა კ. მარჯანიშვილზე, რომ ჩვენ დღეს აღარაფერს ვიტყვით. ალბად ეს დუმილიც ქებად მიეთვლება მას.

„მსახიობის დღე“

მეორე მოქმედების ყველა მომქმედნი პირნი ტანისამოსით და გრიმებით პარტერში გაჩნდნენ და ჰყიდდენ საგანგებოდ ამ დღისთვის დაბეჭდილ გაზეთს: „მსახიობის დღეს“. ხალხში თოვლის ნაფლეთებივით მოიფინა ეს გაზეთი და ყველა დიდის სიხარულით იხდიდა თავის წვლილს.

ზურაბ ანტონოვი

ზურაბ (და არა „ზაქარია“ როგორც ეს იყო აფიშებში გამოცხადებული) ანტონოვი, „მზის დაბნელების“ დამწერი გორელი მოქალაქის შვილი იყო.

ზურაბ ანტონოვი გიორგი ერისთავის თანამედროვედ ითვლებოდა. ერისთავის დროს მსახურობდა ქართულ დასში მსახიობად, ხოლო შემდეგ ამ დასის დირექტორიც იყო.

„მზის დაბნელების“ გარდა დაწერილი აქვს: „მე მინდა კნეინა გავხდე“, „ქმარი ხუთი ცოლისა“, „განა ბიძიამ ცოლი შეირთო“. „ქორწილი ხევსურთა“, „ქოროღლი“ და „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“. ამ უკანასკნელ პიესაში გამოყვანილი ჰყავს პლატონ იოსელიანი, რომელიც არხეოლოგიურ მიზნებისათვის ტივით მოგზაურობდა და შიგ ბევრი საფათერაკო შემთხვევაა აწერილი.

ზურაბ ანტონოვი დაიბადა 1820 წ. და გარდაიცვალა ცოფიან ძაღლის ნაკბენისგან 1854 წელს.

ლიტერატურული ხუთშაბათები

(ლეო ქიაჩელის მოხსენება „ქართულ რომანზე).

საინტერესო და საყურადღებო აღმოჩნდა მოხსენება.

მომხსენებელი ვიდრე ქართული რომანის დახასიათებას შეუდგებოდა, გაარკვია ზოგადათ რომანის დამახასიათებელი თვისებანი, ფორმა, სტილი, სიუჟეტი და სხვა.

არიან რომანისტები, რომელნიც უმთავრეს ყურადღებას აქცევენ სტილს. არის ცდა დაიწეროს უსიუჟეტო რომანი. ამაზე ოცნებობდა ფლობერი.

მომხსენებელმა ვრცლად დაახასიათა ფლობერი, რომელიც ყველაზე უფრო იტანჯებოდა რომანისათვის.

შემდეგ მომხსენებელი შეუდგა რომანის ეროვნული თვისებების დახასიათებას ზოგად ხაზებში.

ფრანგულ რომანის უმთავრესი სასიუჟეტო საგანი სიყვარულის ინტრიგაა.

ინგლისურის, ანუ ანგლო-საქსურის კვანძია „ავანტიურა“. შეეხო აგრეთვე რუსული რომანის თვისებებს და დაასკვნა: თვითეული ერი თავისებურ სულს ატრიალებს რომანში.

ქართული რომანის შესახებ მომხსენებელი ამბობს შემდეგს: თუ შევეხებით ქართულ რომანის ტეხნიკასა და სტილს თანამედროვე გაგებით, იგი თითქმის სრულებით არაფერს წარმოადგენს, გამონაკლისია ილია ჭავჭავაძე. ქართველ მწერლებს უფრო ეხერხებათ მომენტების ანალიზი. მაგრამ სინტეზიები და მათი გაშლა ეპიურ სიმბოლოებში, რასაც მოითხოვს რომანი არაა.

ისტორიის ჩარხის ტრიალმა გაჭყინა ქართული რომანის მსვლელობა. აღორძინება იწყება მე-19 საუკუნეში. მე-19 საუკუნის ქართული რომანის დამახასიათებელი თვისებაა ყოფა ცხოვრების აღწერა, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს ქართულ რომანის ეროვნულ სახედ. ქართული რომანის საფუძველი უნდა დაეყრდნოს ხალხურ შემოქმედებას. ქართული ეროვნული შემოქმედების თვისებანი კი გამოცხადებულია თქმულებებში: ამირანი და აბესალომ და ეთერი, პირველი აგებულია აქტუალობაზე, მეორე კი სიყვარულზე. ხოლო აქტუალობისა და სიყვარულის სინტეზი ვეფხის ტყაოსანშია მოცემული.

ქართული პროზა დღემდე ექვემდებარებოდა ყოფა-ცხოვრებას, იგი ვერ ამაღლდა ეროვნულ შემოქმედების ბუნებამდე.

იშვიათი მოვლენაა ამ აზრით შ. არაგვისპირელის „გაბზარული გული“, რომელსაც ეპოქა უნდა შეექმნა ქართულ რომანის განვითარებაში, რომ გულისყური ახლო მიგვეტანა მასთან.

მომხსენებელმა დასასრულ დებულებანი წამოაყენა და მით დაასრულა სიტყვა.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ კამათს სერიოზული ხასიათი ჰქონდა და იგი არ გასცილებია ლიტერატურულ ფარგალს.

მომხსენებლის უკანასკნელი სიტყვა და პასუხი შენიშვნებზე მოხსენებაზე არა ნაკლებ საყურადღებო იყო.

მ.

მხატვართა სეანსები

პირველი გამარჯვების პარადი ქართველი მხატვრების იყო 1918 წელი.

იმ გრანდიოზულ გამოფენაზე დიდების ტაძარში, სადაც ფერადებით მღეროდა შემოქმედებათა მწკრივები.

1922 წელი ქართველ მხატვართა საზოგადოების ხელ-ახლად ამოქმედების წელია.

ამ წელს იხსნება სამხატვრო აკადემია, იხსნება მეორე სამხატვრო სტუდია მოსე თოიძის, იწყება პრაქტიკული საქმიანობა.

ხელოვანთა სასახლეში მხატვართა საზოგადოების საბჭოს თაოსნობით უკანასკნელ თვეებში არის გაჩაღებული მუშაობა. იმართებოდა ყოველ კვირეული საღამოები.

საღამოები იყო უფრო ინტიმური, ხოლო ხელოვანთათვის მოხსენებები იყო მხოლოთ პლასტიურ ხელოვნებაზე: მხატვრობაზე, ქანდაკებაზე, და იმართებოდა ამავე ხასიათის ჟურფიქსები, სადაც იყო პლასტიური მოძრაობა, ცეკვა, სიტყვიერება, სიმღერა, მუსიკა და ყოველივე ამ შთაბეჭდილებას მიყვებოდა ხატვა. ხატვა სინამდვილიდამ, ხატვა შთაბეჭდილებიდან. სამშაბათებს მხატვრების გარდა ესწრებოდენ სხვა-და-სხვა დარგის ხელოვანნი, რომელთაც საღამოში შექონდათ თავის შემოქმედებანი.

ატე.

მაკინე ამირაჯიბის ხსოვნას.

ყოველმა ქართველმა იცის, ვინ იყო მაკინე; ყოვლად შემკული. ბუნებით უხვად დაჯილდოვებული, ნიჭიერი საზოგადოებრივი, მოღვაწე, გულ შემატკივარი, თითით საჩვენებელი სამიგილითო მეუღლე, უწყინარი, სანაქებო სარდიონ ამირაჯიბისა.

დაუშრეტელი იყო მაკინეს ენერგია საქველმოქმედო სფეროში. მისი არისტოკრატულ ჩამომავლობას თითქოს უნდა შეექმნა მასში ამაყური ხასიათი სოფლის მცხოვრებლებისადმი. პირიქით მაკინე პირველი უწვდიდა ხელს გაჭირვებულთ. უნდა თქვენ თვით გენახათ, რა რიგ თავს დასტრიალებდა მაკინე გლეხკაცობას; ის იყო მათი მრჩეველი, დამრიგებელი, დამხმარე, მეგობარი. ფიქრობდა, ზრუნავდა მათ კულტურულ ამაღლებაზე, უმართავდა წარმოდგენებს, სალიტერატურო საღამოებს, კონცერტებს და სხვა და სხვა გასართობებს.

ასეთი იყო მაკინე სოფელში. ქალაქში კი მუდამ ფიქრობდა მოსწავლე ახალგაზრდობაზე. ხედავდა მათ გაჭირვებას. უსახსრობას სწავლის გასაგრძობად. ზოგს ვერ გაეთავებინა საშუალო სასწავლებელი. ზოგი ვერ ახერხებდა უნივერსიტეტში წასვლასა სულ უფულობის გამო. დამხმარე იყო მათი მაკინე ხალისით, ენერგიით სიყვარულით დატრიალდებოდა მაკინე, წამოაყენებდა ფეხზე მოღვაწეებს, მსახიობებს, მართავდა წარმოდგენებს, კონცერტებს გასართობ საღამოებს, თბილისში, გორში, სურამში. ხაშურში და სხვა. შემოსავალს ანაწილებდა გაჭირვებულთა შორის და ამ გზით აძლევდა საშუალებას, რათა განეგრძოთ თავიანთი სწავლა-განათლება, ასე რამდენ ყმაწვილს გაუთავებია საშუალო სასწავლებელი. რამდენი სტუდენტი უნივერსიტეტში კურს დამთავრებული დაბრუნებია სამშობლოს განათლებული, სულ მაკანეს მეოხებით. გატაცებული ამ ფიქრით, ამ მოღვაწეობით მაკინე,. მახსოვს, ხშირად მომართავდა მე წერილით: აბა ჩემო ლიზო, ამა და ამ ადგილას, ამა და ამ სტუდენტის სასარგებლოდ ვმართავ წარმოდგენას, ვინძლო არ დაიზარო და წამოხვიდეო. მასადმი პატივსცემით და სიყვარულით, ხალისით მიმქონდა მისი წინადადება, წავსულვარ წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად.

სეთი იყო მაკინე საზოგადოებრივ ასპარეზზე. თვის ოჯახში? უპირველეს ყოვლისა მაკანე შეადგენდა ოჯახის კულტურულ ძალას; მშვენივრად აღზრდილი შვილები, უმაღლეს სწავლით განათლებულნი.

კეთილშობილური მოპყრობა ყველასთან განურჩევლად წოდების, საზოგადოებრივი **მდგომარეობის**, წლოვანობისა, ნასწავლს თუ უსწავლელს, მოხუცს თუ ახალგაზრდას, ქალს, თუ კაცს, თვითეულისათვის მაკინე ახერხებდა შესაფერის სიტყვას, საუბარს, მიღებას, ყურადღებას, თავისი მომღიმარე სახით ყველას ხიბლავდა.

მაკინე დიდი სტუმართ-მოყვარე ადამიანი იყო, მისი ბევრი მეგობარი და ნაცნობ-ნათესავები ხშირად იყრიდნენ მასთან თავს, სტკებოდნენ დროს გატარებით. მაკინე კარგი მომღერალი იყო. შინაურობაში მრავალი მსმენელი დამტკბარა იმის ნარნარი, კარკარა სიმღერით.

საზოგადოდ, მაკინეს ოჯახი წარმოადგენდა კოხტა, მოხდენილ დიდ თაიგულს. აი ამ თაიგულმა იწყო დაშლა, ჯერ მოსწყდა უპირველესი ყვავილი, ეს ძვირფასი მეუღლე სარდიონი. შემდეგ კოკორი მისი-საუკეთესო შვილი გიორგი.

ახლა კი თაიგულს გამოეცალა დიდი და ლამაზი, იმ თაიგულის დამამშვენებელი-მაკინე, მოსწყდა ის ვარდი და თვით თაიგულიც დაიშალა, ჩაიფერფლა. ამ ვარდზედ იყო დაყრდნობილი თაიგულის მთელი შემადგენლობა, მისი სიმკვრე, დაობლდნენ მისი შვილები, დაობლდა ბევრი მისი გულითადი მეგობარი, მათ შორის მეც. გულს მიკოდავს ჯერ კიდე სავსე ენერგიით, სულით, ძლიერის მეგობრის დაკარგვა,

ბევრი მოგონებაა მაკინეზე ჩემს გულში, მაგრამ ცრემლები მაღრჩობს, აღარ ძალმიძს მეტის თქმა, მშვიდობით ჩემო გულითადო მეგობარო, ტკბილო და ჭკვიანო მოსაუბრე.

საუკუნოდ იქნება შენი ხსოვნა ყოველ პატიოსანი ქართველის გულში.

მსახიობი ელისაბედ ჩერქეზიშვილი.

ქართული ძველი სამკურნალო სამეცნიერო ისტორიის საუნჯე

ქართველის ერისა და ნამეტურ ქართველ მკურნალთათვის არ იქმნება მეტი, რომ ამ გარემოების შესახებ ცნობები გაუზიაროთ.

ჩვენ ვიცით, რომ ქართული მკურნალობის წიგნები და მისი ისტორია ერთობ მდიდარია და ძველის ძველი, ქართული სამკურნალო წიგნები, ანუ „კარაბადინები“ სჩანს თითქმის XIII საუკუნიდამ, მაგალითად ჯანაოს ექიმის კარაბადინის თარგმნა მიეწერება XIII საუკუნეს. ჩვენ, ქართველებს სხვა ძველი კარაბადინებიც გვაქვს, ხოლო მათი შოვნა და პოვნა კი ერთობ იშვიათია და ძნელი.

აგერ უკვე 40 წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც ამ „კარაბადინების“ ძებნის, მოპოვების და გადაწერის საქმეშია ერთი ქართველი, ქართული მკურნალობის მოტრფიალე სიმონ დავითის-ძე ცოტაძე.

ამ ხნის განმავლობაში, ამ დაუცხრომელი შრომის მოყვარე მკურნალ კაცმა აღადგინა ბევრი ძველი ქართული „კარაბადინები და მით გახდა ადვილ სანახავად და გასაცნობად ქართველი ერისა და მკურნალთათვის.

მაგალითად მან აღადგინა ჯანაოს ექიმის „კარაბადინი“ ტომი პირველი, ეს ტომი დაწერილია მშვენიერის ლამაზის ქართულის ხელით, წიგნი არის ფართო ზომის, ამ პირველ ტომში აღწერილია 756 ავადმყოფობა, მისი სამკურნალო წამლების კეთების ისტორია. ეს აღწერა მეტად მდიდარია სხვა და სხვა ქართულის ტერმინებით, მაგალითად მცენარეების ტერმინებით.

ტომი მეორე. „კარაბადინი“ იწყება „თვალის კვრისათვის“ და სხვაც მრავალნი ასეთნი თვალის ტკივილისათვის. ამ „კარაბადინში არის აღწერილი 818 ავადმყოფობა თვალისა.

ტომი მესამე. III „კარაბადინი“ წელთ რიცხვაობისა, ამ წიგნში ანუსხულია 1071 ავადმყოფობა, მათი წამლების მომზადება და მკურნალობა.

მეოთხე ტომი IV „კარაბადინი“ სასირცხვოსი და მის ყელურებისათვის. აწერილია 1097 ავადმყოფობა თავის მკურნალობის ცოდნის ოსტატობით. ყველა ეს ტომები აწერილებია დიდის ოსტატობით და სიფრთხილით, მასთან ლამაზის ქართულის ხელით და ყველა ავადმყოფობას აქვს თავისი სათაური, წითელი. მელნით მოწერილი და სხვილის ქართულის ასოებით. ამ „კარაბადინის“ ტომებში მოთავსებულია იარა „კარაბადინები.

არაბთა ჯანაოს ექიმების „კარაბადინი“ თარგმანი ქართულს ენაზედ XIII საუკუნეში. ამბობენ, რომ ჯანაოზი ექიმი არის ბიზანტიელების იპოკრიტესიო.

ხოჯა ყოფილის „კარაბადინი“. სპარსულის ენიდამ ქართულათ ნათარგმნი XII საუკუნეში თამარ მეფის დროს.

„მუნთა ნაფი შეა“ თარგმანი სპარსულის ენიდამ XV საუკუნეში, დავით ბატონიშვილისაგან.

სიმონ ცოტაძეს სხვაც ბევრი ძველი კარაბადიმები აქვს შეკრებილი და გადაწერილები ლამაზის ქართული ხელით, რომელთა რიცხვიც რამდენიმე ტომისაგან შესდგება.

საყურადღებოა კიდევ ის გარემოებაც, რომ სიმონ დავითის-ძე ცოტაძე, ამ 40 წლის განმავლობაში, განსწავლილა, ისე მომზადებულა, რომ იგი უკვე 40 წელიწადია, რაც დაუბრკოლებლივ მკურნალობს და არჩენს ისეთ ავადმყოფობას, რომლის შესახებ ევროპიელ მკურნალობას სულ არასფერი წარმოდგენა აქვს.

ამიტომ ეს ტომები ჩვენ მიგვაჩნია ჩვენის საექიმო მეცნიერების ისტორიის დიდს საუნჯეთ და მიტომ ვსწერთ ამ წერილსაც.

ზ. ჰ.

ქრონიკა

ალ. სუმბათაშვილი. იანვრის 3-ს სახელმწიფო ოპერის თეატრში გაუმართეს საიუბილეო წარმოდგენა და ბენეფისი ალ. სუმბათაშვილს

შალვა დადიანის იუბილე.

შალვა დადიანის იუბილე მის სამწერლო და სასცენო ასპარეზზე 25 წლის აღსანიშნავად გაიმართება თებერვლის 3-ს ამავე დროისთვის განზრახულია გამოცემა მისი ნაწერების პირველი ტომის, რომელშიდაც მოთავსებული იქნება „უბედური რუსი“, რომლის ნაწილი იბეჭდებოდა 1916 წ. გაზ. „საქართველოს“ სურათებიან დამატებაში.

ჰიათურის თეატრი.

ჰიათურის თეატრში უსალსრობის გამო წარმოდგენები აღარ იმართება. დასი დაშლილია.

ქუთაისის თეატრი.

მიმდინარე სეზონში ქუთაისში წარმოდგენები არ იმართებოდა. ამ ჟამად განზრახულია შესდგეს დასი, რომელიც გამართავს რამოდენიმე წარმოდგენას. დასის შედგენას უმთავრესად ტფილისის მსახიობებთაგან ფიქრობენ.

საბავშო კინო-თეატრი.

განათლების კომისარიატის კინოსექციამ გახსნა საბავშო კინო. სურათების ახსნა-განმარტებას იძლევიან ლექტორები. ათი დღის განმავლობაში კინო ინახულა 6000 მეტმა მოწაფემ.

ახლო მომავალში განზრახულია დასდგან სურათი „ამერიკა—საკვირველობის ქვეყანა“.

ახალი საბავშო წიგნები.

განათლების კომისარიატთან არსებულ საბავშო-სალიტერატურო სექციამ გამოსცა შემდეგი წიგნები: 1) შიო მღვიმელის პოემა: „ტყის სურათები“ 2) გ. ქუჩიშვილის „ბავშვებს“ 3) მ. სიბირიაკის „ტყის ზღაპარი“ 4) ჰიანჭველების საოცარი თავგადასავალი“ 5) ლ. ტოლსტოის ზღაპრები. 6) დედაბერი, ტურა და მელა. 7) საბავშო პიესათა კრებული.

ცისანა (ახალი ოპერა).

დეკემბრის 27 სახელმწიფო საოპერო თეატრში ბიქტორ დოლიძემ გააცნო მუსიკალურ მხატვრულ წრეებსა და პრესის წარმომადგენელთ თვისი ახალი ოპერა „ცისანა“.

თამარ ცბიერი.

მელიტონ ბალანჩივაძის ოპერა „თამარ ცბიერი“ უკვე გადაეცა სცენაზე დასადგმელად.

მსახიობის დღე.

ქართულ დრამის არსებობის 73 წლის აღსანიშნავად იანვრის 2 გამოვიდა სპეციალური გაზეთი „მსახიობის დღე“.

ახალი რომანი.

ია ეკალაძემ დაასრულა ახალი რომანი ქართულ ინტელიგენციის ცხოვრებიდან და დასწერა მეორე ნაწილი პიესისა № 21 ჯვრით.

მხატვართა საღამო.

სამშაბათს იანვრის 9-ს ხელოვანთა სასახლეში, სერგიევის ქ. № 13 ქართველ მხატვართა საზოგადოების საბჭოს თაოსნობით გაიმართება მორიგი მეოთხე მხატვრლი სეანსი—მოგონება როდენზე. მომხსენებელი იაკობ ნიკოლაძე.

შემდეგ ჟურფიქსი: პლასტიური ვარჯიშობა, ცეკვა, ხატვა, დეკლამაცია, სიმღერა, მოდელი ტიპიურ ტანსაცმელში.

საღამოში შემოქმედების შემოტანა სხვა და სხვა სახით შეუძლია ყველას მორიგი საბჭოს წერის წინასწარი თანხმობით.

სამხატრო აკადემიაში

სამხატვრო აკადემიაში აჯამად შეწყვეტილია მეცადინეობა და წარმოებს პროფესორთა შტატების რეორგანიზაცია იმ ბოროტ მოქმედების შემდეგ, რომელიც იქ აღმოაჩინა სახალხო განათლების კომისარიატის მიერ დანიშნულმა რევიზიამ.

უცხოეთი.

რუსეთის სამხატვრო აკადემიის თეატრალურმა სექციამ კონკურსი მოაწყო დრამატიულ ნაწარმოებზე. კონკურსს წარედგინა 56 პიესა. არც ერთი არ იქნა მოწონებული პირველ პრემიის მისაღებათ. მეორე პრემია თანაბრად გაუნაწილდა ორ პიესას, რომლის ავტორები ცაა განარი და შლიარი. თვითეულმა მიიღო 25 მანეთი ოქროთი.

სარედაქციო კოლეგია

განცხადება

ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველო საყოველთაოდ აცხადებს, რომ გახსნილია ქალაქის სადგურები შემდეგ ქალაქებში:

ტფილისში, ბათომში, ბაქოში, ერევანში და განჯაში

შემდეგნაირი ოპერაციებისათვის:

1) ყიდვა სამგზავრო ბილეთების ყველა ადგილობრივი და პირდაპირი მიმოსვლისთვის ხუთი დღით ადრე მატარებლის გასვლამდე.
2) მიღება და გაცემა ბარგისა და საქონლისა სწრაფი და მცირე სიჩქარით მიმავალ ყველა ტფილისიდან გასასვლელ მატარებელზე.
3) მიტანა ბარგისა და საქონლისა რკინის გზის სადგურიდან სახლში ან მიმღების საწყობებში, ან და, პირიქით, გამგზავნის საწყობებიდან და სახლიდან რკინის გზის სადგურზე, აგრეთვე ქალაქში სხვა და სხვა მიმართულებით.
4) ფასდადებითი ოპერაციები ვალიუტითა და ადგილობრივი ფულის ნიშნებით.
5) მიღების შემდეგ გრძელვადით შენახვა საქონლისა საწყობებში გაგზავნამდის ან და რკინის გზის ხაზით გაუგზავნელად.
6) საბაჟო და საქციზო ფორმალობის შესრულება ბათომში, ტფილისში და ბაქოში (გადახდა ბაჟისა, აქციზისა, ბეგრისა და სხვა).
7) სესხის გაცემა საქონელზე (რკინის გზის უფროსის განსაკუთრებული ნებართვით).
8) საქონლის გაგზავნა ევროპასა, ოსმალეთსა და სპარსეთში.
9) საქონლის დაზღვევა გზაზე და საწყობებში არსებულ დამზღვევ დაწესებულებებში.
10) ყიდვა-გაყიდვა საქონლისა კომისიით კლიენტების დავალებით
11) საქონლის გადაგზავნა და გადახდა ზედდადებითი ხარჯებისა. ქალაქის სადგურებს ეძლევათ ნება საქონლის მიღებისა სალიანდაგო სადგურებიდან დუბლიკატების დანართით წარმომდგენის სახელზე ან და პირადობითი ანგარიშის გადატანით ყოველ ქალაქის სადგურში, რომელიც ერგება რკინის გზას გადაზიდვისა და მუშების ხელფასისა საქონლის ნაწილობრივ გადატანაში. (შენახვა. გადატანა, მუშებს).

ყველა ზემოჩამოთვლილ პირობებზე შეიძლება ცნობის მიღება რკ. გზ. სამმართველოს ეკონომიურ ნაწილში (ელისაბედის ქ., გოგოლის ქ. კუთხე) და ქალაქის სადგურებში: ტფილისში—ერევნის მოედანი, ყოფილი თამამშევის ქარვასლა, ტელ. **9—17**, ბათომში—შერემეტევის და იმერეთის ქუჩების კუთხე, ბაქოში—კრასნოვოდსკის ქ. № **17**; ერევანში—ასტაფიევის ქ. **№ 7**. განჯაში—ყოფილი სავაჭრო ბანკის შენობაში.

მე-5 სტამბა ს. მ. უ. ს. პოლიგრაფგანყოფილების ლენინის ქ. 3.